საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვარის ციხე

კვარის ციხე, ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე საქართველოში, რაჭაში, მდ. კრიხულის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ზემო სხვავიდან (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) 1,5 კმ დაშორებით. ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. გვიანდ. ფეოდ. ხანაში სამეფო სამფლობელო იყო, XVI ს. 90-იან წლებში დაეუფლა ქართლის მეფე სიმონ I, XVIII ს. დასაწყისში – იაშვილთა ფეოდ. საგვარეულო, 1769-იდან კი კვლავ სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. 1786 კ. ც-ს თავს აფარებდა იმერეთის მეფის, დავით გიორგის ძის მოწინააღმდეგე ბატონიშვილი დავით არჩილის ძე (მეფობაში სოლომონ II). 1802 აქ თავი მოჰკვეთეს ახალციხის ფაშას – საბუდს. 1810, იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების დროს, კ. ც. გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ რუს. ჯარმა დაიკავა, შემდგომ ხანებში კი თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

კ. ც. ტიპური ციხე-დარბაზია. გარს უვლის 6–7 მ სიმაღლის გალავანი. საერთო ფართობი დაახლ. 2000 მ2, შესასვლელი მხოლოდ ერთი მხრიდან აქვს. გალავნის შიგნით შემორჩენილია ორსართულიანი მრგვალი საცხოვრ. კოშკი, მცირე ზომის ეკლესია, აუზი და სხვა შენობათა ნანგრევები. 1991 მიწისძვრების შედეგად კლდის უმეტესი მასივი, რ-საც ციხე აგვირგვინებდა, მოირღვა.

ლიტ.: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973; გ ი ო რ გ ა ძ ე მ., საქართველოს სტიქიით დაზარალებული ძეგლები, თბ., 1991; ქ ვ ა თ ა ძ ე ი., სხვავეები, თბ., 2005.

თ. ბერაძე